

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

შპს “პროფიუნიტისა” და სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის
ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ერთი მხრივ, შპს “პროფიუნიტი”, წარმოდგენილი დირექტორის, დოქტორ აკაკი გურჯიძის სახით და მეორე მხრივ, გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, წარმოდგენილი დირექტორის, დოქტორ ნიკოლოზ ჩიხრაძის სახით, შემდგომში „მხარეები“, ისწრაფვიან რა ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, იღებენ რა მხედველობაში პედაგოგიურ-სამეცნიერო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, აცნობიერებენ რა ახალგაზრდა თაობების პროფესიული განათლების სფეროში მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

წაახალისებენ ურთიერთობათა განვითარებას სამთო ტექნოლოგიების მიმართულებებით პროფესიული განათლების სფეროში.

მუხლი 2

გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტი უზრუნველყოფს:

- კონსულტაციებს სასწავლო პროგრამების შემუშავების დარგში;
- მეცნიერ-თანამშრომელთა საჯარო ლექციების წაკითხვას შპს “პროფიუნიტის” მსმენელებისათვის;
- საბიბლიოთეკო ფონდითა და სამეცნიერო ანგარიშებით სარგებლობას შპს “პროფიუნიტის” თანამშრომელთა და მსმენელებისათვის;

- მხარდაჭერას სამთო ტექნოლოგიების მიმართულებებით ბაკალავრიატის და მაგისტრატურის ეტაპზე სტუდენტების მომზადებაში;
- ხელშეწყობას საზღვარგარეთის სამთო პროფილის კოლეჯებთან საქმიანი ურთიერთობების დამყარებაში;
- დახმარებას შპს “პროფიუნიტი” ვებ-გვერდის მომზადებაში.

შპს “პროფიუნიტი” უზრუნველყოფს:

- თანამშრომელთა და სტუდენტთა მონაწილეობას, სამთო ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ტექნოლოგიების, საწარმო პირობებში გამოცდის და დანერგვის სამუშაოებში;
- მონაწილეობას ერთობლივი საპროექტო-სამეცნიერო სამუშაოების მომზადებასა და შესრულებაში, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 3

წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები.

მუხლი 4

ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

შპს “პროფიუნიტი” სახელით

ა. გურჯიძე
დირექტორი



სამთო ინსტიტუტის სახელით

ნ. ჩიხრაძე
დირექტორი

